ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3563953

ნომერი: AR1541648

თარიღი : 19.09.2017

გაცემის თარიღი : 25.09.2017

გაცნობის თარიღი : 25.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , IV დაII მ/რ შორის , რთულ რელიეფზე , ნაკვ. N27 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია ხავთასი პ/ნ 01020010688
- თბილისი მ.მესხის ქ. N 26ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 17 დეკემბრის №3003183 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 19 სექტემბრის №AR1541648 განცხადებით მომართა ილია ხავთასმა და მოითხოვა, ამავე სამსახურის 2016 წლის 17

დეკემბრის №3003183 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 17 დეკემბრის №3003183 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში ნუცუბიძის ფერდობზე , IV და II მიკრორაიონს შორის , რთულ რელიეფზე , ნაკვ. N27, მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.02.010.049, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 17 დეკემბრიდან 2017 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2016 წლის 17 დეკემბრის №3003183 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და განმარტავს, რომ საცხოვრებელი ფართობი უნდა იყოს 1642,1 კვ.მ ნაცვლად 1661.3 კვ.მ-სა კვ.მ, საზაფხულო ფართობი უნდა იყოს 429,7 კვ.მ ნაცვლად 433.7 კვ.მ-სა. , დამხმარე ფართობი უნდა იყოს 364,3 კვ.მ ნაცვლად 345,1 კვ.მ-სა, საერთო ფართობი უნდა იყოს 2796.8 კვ.მ ნაცვლად 2800.8 კვ.მ-სა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 19 სექტემბრის №AR1541648 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა 2016 წლის 17 დეკემბრის №3003183 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 17 დეკემბრის №3003183 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 1642,1 კვ.მ, საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 429,7 კვ.მ, დახმარე ფართობად დაფიქსირდეს 364,3 კვ.მ, საერთო ფართობად დაფიქსირდეს 2796.8 კვ.მ
2. სამსახურის 2016 წლის 17 დეკემბრის №3003183 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 17 დეკემბრის №3003183 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.